

7. 25



ი. ჯიშკარიანი

აზიისა და კავკასიის

სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის

თოქვათი (03-12)



ტფილისი
ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ. განყ. 3 სტამბა
1924



Азия и Кавказ.

Современная наука название Азии производит от ассирийского „ašû“=assû, что значит восток¹⁾, автор же предлежащего труда полагает, что, как название главной вершины горной цепи в Лидии Τμῶλος²⁾ =Tmolos носит следы грузинского слова towli, что значит снег, так и легшее в основание слова Азии название **азийской** долины, простирающейся на юг от Тмола, носит явные следы Абхазского „ašû“ или Аварского „hazo“-слов того же значения, т. е. снега³⁾.

Что же касается происхождения названия Кавказа, то и здесь современная наука далека от истины: до восьми различных мнений по этому вопросу явно свидетельствуют об этом и причина всему этому та, что никто из ученых не попытался объяснить состав этого слова на почве местных языков: Аварское „kka-hazo“ и Абхазское „škvakv-ašû—что значит бело-снежный, исчерпывающе объясняют происхождение этого названия⁴⁾.

1) Фр. Любкер. смотри слово Asia.

2) А. Хаханов. Древнейшие пределы расселения грузин в малой Азии. стр. 27.

Тмол современными турками наз. „Боз-дагом“, т. е. снежною горою.

3) Сравни груз. ხაზ-свежий ветерок, ზოგო-снежный обвал. арм. շոգ-прохладный.

4) Сравни грузинское კაჲ-კაჲი=kaš-kaši=კახ-კახი=კაჲ-კაჲი.



მასალა.

აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობისათვის*).

I. აზია=ასია.

36928

თანამედროვე მეცნიერება გვეუბნება: ასირიულად ადამ=ასსუ ნიშნავს აღმოსავლეთს¹⁾. ძველად, განაგრძობს ის, ე. ი. მეცნიერება, ბერძნებმა ამ სიტყვის ძირით ისარგებლეს და „აზიის“ ველად მონათლეს გაშლილი ნაყოფიერი მიწები, ქართული თქმით, მერედი, რომელიც მდებარეობდა ლიდიაში საბერძნეთიდან აღმოსავლეთით, „თმოლის“ მთის სამხრეთის კალთაზე, მდინარე კაისტრის, დღევანდელ კუჩუკ-მენდერეს, სათავის ნაპირზედო²⁾.

„გარეულ ბატთა და გედთა გუნდი კაისტროს გასწვრივ „აზიის“ ველზე ხარობს და ლალობს...

ფრთათა თქრიალით ხმაურობს იქა“...

ასე გადმოგვცემს შორეული წარსულის ცხოველ სურათს უკვდავი „ილიადა“³⁾.

დღესაცო, ამბობს ფრ. ლიუბკერი, იმ არე-მარეში აუარებელი გედთა გუნდები, ნავარდობით დაქანცულნი, ეშვებიან დასასვენებლად. ადვილი დასაშვებიაო, განაგრძობს იგივე მეცნიერი, რომ სახელწოდება „აზიის“ ველისა აქედან გავრცელდა მთელ აზიაზეო⁴⁾. აი, თანამედროვე მეცნიერების აზრი ამ საკითხის შესახებ, ჩვენ

*) ამ გამოკვლევის ნაწილი დაბეჭდილი იყო „ტრიბუნაში“ 6 დეკემბერს 1921 წ. № 90.

კი ვიტყვი: სახელწოდების თანდანობითი გავრცელება ამ ველიდამ მთელ აღმოსავლეთით მდებარე მხარეზე მისაღება, მაგრამ რად დასჭირდათ ბერძნებს ასიურიული სიტყვა ზემოთ აღნიშნული ველის სახელწოდებისათვის— გაუგებარია!

ბერძნები აღმოსავლეთით მდებარე ადგილებს აღნიშნავდნენ და აღნიშნეს კიდევც ბერძნული სიტყვით: „ანატოლე“ = აღმოსვლა მზისა⁵⁾ — დღევანდელი ანატოლია, ე. ი. მცირე აზია. და თუ ეფესის ახლო აღმოსავლეთით მდებარე ველს უწოდებდნენ დაახლოებით მე XII საუკუნეში ქრ. წინ. „აზიის“ ველად, აქ მიზეზიც სხვა უნდა იყოს და არის კიდევც:

I. „თმოლოსი“ — მთაა ლიდიაში, დღეს თურქების მიერ ბოზ-დაგად, ე. ი. თოვლიან მთად, წოდებული. ამ სახელწოდებას მეცნიერება უკავშირებს ქართული სიტყვის „თოვლის“ ძირს, ვინაიდან ამ ენაში „მ“ და „ვ“ ხშირად ერთი მეორეში გადადისო: ვწერამ = ვწერავ.⁶⁾ აქედან: თოვლი = თვოლი = თმოლი. ამას თუ მივიღებთ და გაუწევთ ანგარიშს იმასაც, რომ ჩვენთან, ქართველებთან, ერთად სხვა, ჩვენი მონათესავე ტომებიც მთელი ძველი აღმოსავლეთის ფარგალში მიმოძრაობდა და საქმიანობდა, და ბევრნი მათგანი გადაგვარდნენ და შეუსისხლხორცდნენ სხვადასხვა მხრიდან ახლად მოსულ სხვა ერებს, მაშინ ვიტყვი: აფხაზური „ასსუ“ და ავარული „ჰაზო“, რაც ნიშნავს იგივე თოვლს, მისაღებად სწყვეტს საკითხს: გადაგვარებულმა ჩვენმა მონათესავე ხალხმა შეუნარჩუნა მთას სახელწოდებაში „თოვლის“ ძირი „თმოლოსის“ სახით, „აზიის“ ველის სახელწოდებაში კი „ასსუ“-ს ანუ „ჰაზო“-ს ძირი, რაც თავისთავად, როგორც ბინადართა შორის

უკვე დამყარებული სახელწოდება, უშუალოდ შეთვისებულ იქმნა, შეიძლება მისი მნიშვნელობის არ ცოდნითაც, ამ მხარეში ახლად მოსულ ბერძნების მიერ, ბერძნების მეოხებით კი ეს სახელწოდება დამყარდა მთელი მსოფლიოს სიტყვიერებაში.

ჩვენი მოსაზრება რომ სინამდვილის მატარებელია, სჩანს იქიდანაც, რომ იმ არემარეში, რომელსაც უუძველესი ბერძნები **აზიის** ველად იცნობდენ და რომელიც წარმოადგენს **თმოლოხის** სამხრეთ-დასავლეთ კალთის განგრძობას, ზემოდან პირშეკრულ ორ მთაგრეხილთა ღრმა ხევში მოქცეულს, აქამდე შენახულა უუძველესი დროიდანვე ველის ზემო დასაწყისთან მდინარის პირად, დღევანდელ მოსახლეთა მიერ **კალაკად** წოდებული, დაბა. აი, ამ დაბას უუძველესმა ბერძნულმა სიტყვიერებამ შეუნარჩუნა **კოლოჯ'ხ** = **Κολοχη** სახელწოდება. ჩვენ, ამ სიტყვის ბგერითი შემადგენლობაში, ცხადად გვესმის ქართული **კალაჲ**, რაც უნდა ნიშნავდეს ხევში უღელტეხილით შემოსასვლელი ყელის დასაცავად აგებულს არა ვრცელ და მალალ **მრგვალ ციხეს**, ამის ნიშნები აგარული **კალა**, ლეკური **კკალა**; თუ სიმრგვლეს გავუსვამთ ხაზს სიტყვა უნდა იყო ძველად ნაწარმოები ქართულ-სომხურ **კალო**-დან, რომლის ორთანხმოვანიანი ფესვი **კლ** გამოყენებულია ორთავე ენაში **გამაგრების** მნიშვნელობით.

გასაცვიფრებელი ის არინ, რომ ზემოთნახსენებ **აზიის** ველს უუძველეს დროიდანვე ბერძენთა სიტყვიერებამ შეუნარჩუნა მეორე სახელწოდება: **კილბიანის** ველისა- **Κιλβιανον τὸ πεδιον**, რაც ჩვენი აზრით არის დამახინჯებული **კალაუბნის**, ე. ი. **ციხისუბნის** ველისა. აქ მოყვანილი მასალა გვაფიქრებინებს, რომ ამ მიდამოში ჩვენ

გვაქვს საქმე ერთერთ უძველეს კულტურულ ბუდესთან, რომელიც თავის წარსულით მჭიდრო კავშირში უნდა იყოს კავკასიის ფარგალში დღეს მოქცეულ ხალხებთან.

რაც შეეხება ასირიულ ადმ-ს, ჩვენ ვიტყვით, რომ ასირიელები, **ალბად**, აზიად=ასიად=ქვეყნად ამომავალი მზისა⁷⁾ უწოდებდნენ ტიგროსის ვალმა **აღმოსავლეთით** მდებარე **თოვლიან** მთიან მხარეს. მათი ადმ შეგვიძლიან დაუკავშიროთ იგივე აფხაზურ „ასსუ“-ს⁸⁾ ანუ ავარულ „ჰაზო“-ს⁸⁾ რაც ნიშნავს, როგორც ზევით განვმარტეთ, თოვლს-ამ ძირისვე უნდა იყოს ქართული „სიოც“. საფიქრებელია ასირიელებმა აფხაზებიდან უშუალოდ შეითვისეს სიტყვა „ასსუ“ და თავდაპირველად მით აღნიშნავდნენ თოვლს, და მხოლოდ შემდეგ **აღმოსავლეთით** მდებარე მხარესაც: კარდუხის და ზაგრის*) თოვლიან მთებით მოცულ არეს, ე. ი. სიტყვამ მიიღო აღმოსავლეთის მნიშვნელობაც. ქართველები, აფხაზები და მათი მონათესავე ტომები სცხოვრობდნენ ასირიელთა მეზობლად და ამისთანა შემთხვევის მაგალითიც—ქართულიდან ასირიელების მიერ სიტყვის შეთვისებისა, გვაქვს: სიტყვა „გულადი“ უმნიშვნელო ცვლილებით არის შეტანილი ასირიელთა ლურსმულ წარწერებში⁹⁾. ჩემ მიერ წამოყენებული ჰიპოთეზი გადაჭრით დადასტურდება, თუ აღმოჩნდება, რომ ასირიულად ადმ თოვლსაც ნიშნავს, ჩვენ კი წინასწარ დარწმუნებული ვართ, რომ ეგრეთი უნდა აღმოჩნდეს.

არსებობს კიდევ მეორე შესაძლებლობა „აზის“ ველის სახელწოდების წარმოშობისა.

*) „სამხრეთით სადადიანო სვანეთს საზღვრავს ტყით მოცული „ზაგარის“ მთებია უზნობს ექიმი ორბელი თავის თხზულებაში: „Сванетия“ стр. 6.

იმ არემარეში, სადაც „აზის“ ველია, ე. ი. ლი-
დიაში, სამხრეთ-აღმოსავლეთით სცხოვრობდნენ აწ გადა-
გვარებულნი, ლიკიელნი, ხალხი თავისი წარსულის ხვედ-
რით და ენობრივი განმხოლოებით მონათესავე ბასკებისა
და ეტრუსკებისა. მათ თქმაში დაცულია სუფიქსი „აზი“,
რომელსაც ჰქონდა ადგილისა და ტომის მაჩვენებელი
მნიშვნელობა, მაგალითად:

სპარტ-აზი=სპარტელი, როგორც დღევანდელი დი-
დოელების ენაში-ზი: ჩაჩან-ზი, ანდი-ზი=ანდი-ელი.

საფიქრებელია, რომ ლიკიელთა თქმაში „აზი“ ცოც-
ხალი ცნების მატარებელი იყო და შეიძლება ჩვენ მიერ
წამოყენებული საკითხის გადაწყვეტისათვის მას დიდი მნი-
შვნელობაც ჰქონდეს, მაგრამ ამის შესახებ, სათანადო
მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით მსჯელობა
ნაადრევი¹⁰).

წყაროები:

1. Asia. Фр. Любкера стр. 136.
2. "Ἀσιος λεύων, Ном. II 2. 461. Фр. Любкера.
стр. 136.
3. Ном. II. 2. 461.
4. Caystrus стр. 217. Фр. Любкера.
5. Э. Реклю „Человек и Земля“ стр. 307 т. I.
6. Древнейшие пределы расселения грузин по
Малой Азии стр. 27. А. Хаханов.
7. Э. Реклю стр. 307 т. I.
8. Услар—, „Аварский и Абхазский языки,, стр.
286. hazo, стр. 13. აფ. ავარული hazo შეადარე ქარ-
თულ ჩა-მო-ზოვებას, რომელიც იხმარება ძალიან ხში-

რად თოვლის ჩამოწოლის აღსანიშნავად-იტყვიან: „ზო-
ვია, არ წახვიდე თორემ დაილუპებო“, შეადარე სომხ.
ზოვ=გრილი.

9. „О происхождении грузинского языка А.
Глейе 27 том. Сб. материалов...“

10. Сборник материалов для описания местно-
стей и племен Кавказа т. 40, стр. 27 и 28, отд. III.

II კავკასია=კავკაზია.

„კავკასიის“ სახელწოდების ქვეშ თანამედროვე მეცნიერება იცნობს ორ მთაგრეხილს: ერთი მდებარეობს შავსა და კასპიის ზღვათა შორის და იწოდების *Καυκάσιος Σιαμικός*-კავკაზოს სკითიკოს, მეორე კი ძვეს ტურანსა და ავგანისტანის შუა და იწოდების *Καυκάσιος Ἰνδικός*—კავკაზოს ინდიკოს დღევანდელი „ჰინდუკუშ“¹⁾.

ძველი ბერძნების სიტყვიერებაში ეს სახელწოდება ხმარებაშია მე VI საუკუნიდან ქრ. წინ:

I. ამ სახელწოდების წარმოშობის შესახებ ცნობის მოყვარული ბერძნები მოგვითხრობენ: სახელწოდება კავკასია ამ მთამ მიიღო შემდეგი მიზეზის გამო: გიგანტთა, ე. ი. ბუმბერაზთა ბრძოლის შემდეგ სატურნი დაემალა იუპიტერის რისხვას და ნიანგად ქცეულმა თავი შეათარა უშუალოდ მთას. აქ პრომეთეოსმა მოჰკლა ერთი ბინადარი მწყემსი, სახელად „კავკასი“, და მისი შიგნეულის მიხედვით სთქვა, რომ მტრები ახლო არიანო. იუპიტერი მოეწვინა იმ არემარეს, შეჰკრა მამა თვისი და გადაუშვა ტარტარში, ე. ი. ჯოჯოხეთში მთაზე კი, რომელსაც უწოდა მწყემსის სახსოვრად „კავკასი“, მიაჯაჭვა პრომეთეოსი და მიუსია მას ტანჯვის მისაყენებლად არწივიო²⁾...

II. მეორე ცნობა ძველებისა ამ სახელწოდების შესახებ დაგვრჩა—რომაელთა მეცნიერის: „სკვითები ეძახიან კავკასიის მთაგრეხილს „გრაუკაზის“ = *Graucasis*, რაც ნიშნავს „თეთრ-თოვლოვანი“ = *белоснежный*³⁾.

III. მესამე კი, კ. იული სოლინისაა, ქ. შემდეგ IV საუკუნის დასაწყისში—ის ამბობს: სკვითებს სპარსელები თავიანთ ენაზე საკებს უწოდებენო, სკვითები კი—კავკაზს—კრუკაზის=Croucasis, ე. ი. თოვლიანსო⁴).

თანამედროვე მეცნიერება კი ამ ცნების წარმოშობის შესახებ მრავალ სხვადასხვა ხასიათის მასალას იძლევა:

IV. ჰენრიხ-იული კლაპროტი, გერმანელთა გამოჩენილი ორიენტალისტი, აწარმოებს ამ სიტყვას—„კავკასიას“—Koh-Kâfsp—იდან=**კოხ-კასპი-დან** ე. ი. მთა კასპიელთა, რადგანაც **კოხ** ანე **კუხ** ირანულად ნიშნავს მთასო. მისი აზრით „კავკაზი“ წარმოსდგა „კოჰ-კაჰ-დან“, კოჰ-კაჰი კი არის, ალბადო, წარღვნილი ძველი სახელწოდება **კოხ-კასპ** ისაო. ამ მსჯელობას ის ამყარებს ერატოსფენის ჩვენებაზე, რომ ბინადარნი „კავკასიას“ უწოდებენ „კასპიადო“.

სტრაბონი ემხრობა ამ აზრს და ამბობს, რომ ეს სახელწოდება შესაძლებელია წარმოიშვა „კასპიელთა“ ხალხის სახელიდანო-თუმცა მის დროს ეს ხალხი უკვე აღარ არსებობდა-მაგრამ მან იცოდა, რომ ჰეროდოტი ამ ხალხს იხსენიებს კსერქსის ლაშქრის შემადგენელ ხალხთა შორის. ეს აზრი მიუღებელიაო, ამბობს ვ. სენ-მარტენი, რადგანაც კავკასიის მთებში დღესაც იგივენი ხალხნი სცხოვრობენო, რომელნიც სცხოვრობდნენ ერატოსფენის დროსაო და არც ერთი მათ შორის „კავკასიას“ „კასპიას“ არ უწოდებსო⁵).

V. პეტრე კარლოს ძე უსლარის აზრი ამ სახელწოდების წარმოშობის შესახებ, რომელსაც ემხრობა ვივიანე სენ-მარტენიც, შემდეგ ნაირად ყალიბდება: „არის ერთი სახელწოდება, რომლის შთამოგება ანუ დასაბამი

ჰქრება უხსოვარ ღროთა სივრცეშიო, იგი გამოდგა არა-ჩვეულებრივი სიცხოვლისა და აქამდე დარჩა კავკასიაშიო —ეს სახელწოდებაა: აზები, იასები, ოსები. აზთა მთებს **შესაძლებელია** ჰრქმეოდანო გოგ-აზ ანუ გაუგ-აზ, სახელი, რომელიც წარმოადგენს წმინდა ბერძნულს „კაუკაზოს“-სო, მით უფრო რომ ოსური ხოხ, რაც ნიშნავს მთას, ვა სენ-მარტენის აზრით, მთიელთა ხორხოვან კილოკავში ითქმის „გაუგათ“ და „ამიტომ ადვილად შესაძლებელიაო, მოგვეყავს უსლარის სიტყვები, რომ სავრომატები, სინდები, ზღვის პირელნი, რომელნიც უწინარეს სხვებისა გაიცნეს ბერძნებმა, უწოდებდნენ კავკასიის შორს მომჩინარე მწვერვალებს გაუგ-აზ-ს, აზების მთასაო, ამიტომაც გაუგ-აზი მიგვაჩნია კავკასიის წინაპირვანდელსა და უუმართლეს ფორმადაო“⁶).

აქ მოყვანილი აზრის შესახებ ჩვენ ვიტყვი, რომ ის მიუღებელია, რადგანაც არ ვიცით, რომელ მთიულთა თქმაში აქვს ადგილი „გაუგს“ მთის მნიშვნელობით და აგრეთვე იმიტომაც, რომ აზებმა=ოსებმა კი არ მისცეს ნაწილობრივ სახელწოდება კავკ-ასიას, არამედ თვით მიიღეს თავისი სახელი ოსი, იასი, აზი იმ არემარესი სახელწოდებიდან, სადაც ოდესღაც ისინი სცხოვრობდნენ თავის მოძრავ ერთერთ ბინადრობის უუძველეს ხანაში: ჩრდილოეთ კავკასიას ქვემო ღონიდან, ძველ ბერძნების თქმით ტანაისიდან დაწყებული შავი ზღვის მიუკლებით იალბუჯის მთამდე, უუძველესი საბერძნეთის სიტყვიერება იცნობს „აზიად“.

აქ უცხოვრიათ ოსებსაც, რის შემდეგ და გამო ჩვენის აზრით, წარმოიშვა აზების სახელწოდება და არა პირუკუ, თვით აზია-კი წარმომდგარია აფხაზურ „ასსუ“-

სა ანუ ავარულ ჰაზო-საგან, რაც ნიშნავს თოვლს. ამ არე მარეს ბერძნები აზიად უწოდებდნენ უკვე 550 წ. ქ. წინ.

აზია იწყება ტანაისიდანო, [დღევანდელი დონიდანო*], იმეორებს ძველი ბერძენი-სკილაქსი კარიანდელი, მე-V საუკუნის დასაწყისში ქ. წინ.

„უბედურნი არიან ის ხალხნი, რომელნიც სცხოვრობენ მის პირად, ე. ი. დონის პირად, ამბობს დიონისე პერიეგეტი I საუკუნეში ქრ. შემდეგ, იქ მუდამ სუსხიანი თოვლია და მძაფრი ყინვები და როდესაც ქარი ამოვარდება, სიცივე აღწევს იმისთანა სიმძაფრეს, რომ მთელი საქონელი გარეთ დარჩენილი სრულიად იღუპება. საფიქრებელია, რომ თვით ხალხიც სრულიად ამოწყდებოდაო, რომ იქ რჩებოდენ ამ აუტანელ ქარბუქშიო, მაგრამ ისინი შეუბამენ თავიანთ ურმებს და ამ ხნის განმავლობაში მიეშურებიან სხვა მხრისაკენ, აქაურობას კი სტოვებენ ზამთრის ქარბუქთა სრულ ხელისუფლებაში, რაც, ე. ი. ქარბუქი თავის სიმძაფრით ანადგურებს მთასაც და ბარსაც ნაძვენარით მოცულთაო“⁷).

ამგვარად, თუ ასე ესახებოდა განათლებულ ბერძენს პირველ საუკუნეში ქ. შ. ამ არემარესი სიცივეების სისასტიკე, რა გასაკვირველია, თუ ვიტყვით, რომ აფხაზებმა და მათ მონათესავე ხალხმა, რომელნიც აქაურობას იცნობდენ არა უგვიანეს მე-VII—VIII საუკუნისა ქრ. წინ, ეს არემარე მონათლეს „ასსუ“-ეთის, „ჰაზო“-ეთის, ე. ი. „თოვლეთის“ სახელდადებით.

„ჩვენ ვიციითო, ამბობს პ. უსლარი, რომ ყუბანის დაყოლებით მხარეს ოდესმე აზია ჰრქმევია, აწინდელ

*) დონი ოსურად ნიშნავს წყალს, მდინარეს.

დროშიაც, საუკუნოებით ჩანერგილი ჩვეულების გამო, კავკასიის მკვიდრი ყუბანის მიდამოების მცხოვრებთ, ვინც უნდა იყვნენ ისინი, „აზებს“ უწოდებენ⁶⁾.

ბალყარეთში, ჩერეკის სათავეში მდებარე მხარეში, სადაც ყაბარდოელები სცხოვრობენ, დღემდე შენახულია ერთერთი ადგილის სახელწოდება „აზია“, რაც შეცთომით მათ მიაჩნიათ ოსთა ხევის აღმნიშვნელად, რა საკვირველია მის გამო, რომ წინეთ იქ უცხოვრიათ ოსებს, მაგრამ საგულისხმიერო ის არის, რომ ოსები თავის თავს უწოდებენ რანს, მრავლობითი ირონს, რაც გულისხმობს მათ ირანთაგან წარმოშობას, ბალყარლებს კი „ასიაგ'ებად“, ე. ი. **ოსებად** იხსენიებენ⁷⁾, აშკარაა ადგილის სახელწოდებისა ხალხზედ გადატანით.

VII. სახელწოდება „კავკასია“ შემოტანილია ძველად აზებისაგან, ასსებისაგან ანუ ოსებისაგანო ინდოეთით, ამბობს ჩვენი ისტორიკოსი დ. ზ. ბაქრაძე, სადაც ეს სიტყვა აქამომდე ხმარებაშიაო, ეს სახელწოდება ჩვენ მხარეს შეთვისებია აქამდე სამუდამოდ და აქედან აღარსად გავრცელებულაო, რადგანაც მომეტებული ნაწილი აზების ტომისა აქვე დამკვიდრებულაო. თვით „აზია“ პირველად პელაზგებს-შემდეგ იმათის გადმოსახლებისა შუა-აზიიდან—მიუთვისებიათ ერთი ადგილისათვის მცირე აზიაში⁸⁾; მას უკან ასე დარქმევია ჩრდილო მხარეს კავკასიისასაც და აქედან მთელს აზიას მოჰფენიაო⁹⁾“.

პირველი ნაწილი ამ ამონაწერისა სრულიად მიუღებელია: ეს აზრი, ალბად, ეყრდნობა ივანე შოპენის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: „ძირითადი ნამდვილი კავკასია მდებარეობს, როგორც ცნობილია, შუა აზიაში დი-

*1) აზიის ველისათვის, კაისტრის ნაპირზედ.

დებულისა და ნაყოფიერი ვაკე ადგილებით, სადაც წარმოიშვა და გამრავლდა იაფეტის შთამომებანიო“.

პირიქით, ჩვენ ვიცით, კავკასიის სახელწოდება უკვე ხმარებაში იყო ძველ ბერძენთა სიტყვიერებაში მე-VI საუკუნედამ და შუაგულ აზიაში ის გადატანილ იქმნა ვ. სენ-მარტენის მოსაზრებით შემდეგ პირობებში: „რამდენადაც დღეს ვიცით სახელწოდება „კავკასია“ სანსკრიტთა სიტყვიერებაში არ მოიპოება, ამბობს ის, სამაგიეროდ ჩვენ იქ გვხვდება სახელწოდება „კაზა-გირი“, რაც ნიშნავს კაზთა-მთას: გირი მთას ნიშნავს კაზურადო. ამ მოდგმის ჩაღმმა თავის სახელწოდების უმნიშვნელო ცვლილებით დღემდე შეინახა აქ თავიო“.

„აღექსანდრე მაკედონელი მე-IV საუკუნეში ქ. წინ, განაგრძობს იგივე მეცნიერი, ინდოეთში ბაქტრიიდან მიილაშქრებდა და მას, რასაკვირველია, თან ეხლებოდა მრავალი ირანელი, რომელთა „კოხი-კაზა“ ესე იგი მთაკაზთა ადვილად-თავისთავად შეიცვლებოდა ბერძენთა თქმაში „კაუკაზად“, რადგანაც სახელწოდება კაუკასია უკვე დიდი ხნის შეთვისებული ქონდათ მათ მშობლიურ სიტყვიერებიდანო“ აქ აღსანიშნავია, რომ პტოლომეოსი კლავდი, სახელოვანი გეოგრაფი, რომელიც სცხოვრობდა მე-II საუკუნეში ქ. შემდეგ, თავის თხზულებაში აღნიშნავს Casii montes-კაზთა მთებს, მაგრამ აღმოსავლეთით მთაგრეხილის იმ ნაწილისა, რომელსაც ის უწოდებს: *Caucasii montes proprie dicti*, ე. ი. სინამდვილეში კავკასიის მთებად წოდებულნი.

VII. არსებობს აგრეთვე ამ სახელწოდების წარმოშობის შესახებ ა. გრენის აზრი—ის ამბობს: სახელწოდება „კავკასია“ ეკუთვნის ირანულ კილო-კავებს და

წარმოიშვა მიდიელთა სიტყვებიდან კავი=მეფე და კუ= მთა, იმ სახით, რა სახითაც დღესაც კავკასიის იმრგვლივ მცხოვრები მთიულები ხმარობენ „კაკაი“-სო¹⁰). არც ეს აზრია, ჩვენის შეხედულებით, სინამდვილის მატარებელი, რადგანაც კაკაის უწოდებენ ზოგიერთი მთიულები ქ. კავკავს და არა მთაგრეხილს.

VIII. არსებობს კიდევ ერთი აზრი, თავისებური თავის სიმარტივით — ეს არის მ. ჯანაშვილის შეხედულება: კავ-კავ, რაც შეიძლება მივიღოთ შემდეგი მნიშვნელობით: ზღუდე-ზღუდეს, მთაგრეხილი-მთაგრეხილს, იგულისხმე, მისდევს¹¹).

ამ გამოკვლევაში მოყვანილ აზრთა შორის ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უფროსი პლინიის ცნობას, რომ სკვითები, სპარსთა სახელწოდებით, საკები, კავკასიის მთებს უწოდებდნენ „Graucasis“-„გრაუკაზის“. ამ სიტყვის მნიშვნელობა სხვადასხვა ნაირად არის განმარტებული თანამედროვე მეცნიერთა მიერ: თვით პლინიის მიერ მოყვანილ მნიშვნელობას „თეთრ-თოვლოვანს“ არც ერთი მათგანი არ უჭერს მხარს. ისინი ყველანი სრულიად სარწმუნოდ იჩნევენ სიტყვის „გრაუკაზის“ ბგერითი გადმოცემას და მას განმარტავენ სანსკრიტული ენის საშუალებით: გრავან=კლდე და კაზ=ბრჭყვიალა, კაშკაშა, მბრწყინავი; ამ განმარტებას მხარს უჭერენ სანსკრიტოლოგი ბოლენი, გამოჩენილი ორიენტალისტი ევგენი ბიურნუფი და აგრეთვე ვ. ჰუმბოლდტიც.

აქ გაუგებარია: რად დასჭირდათ სკვითებს—უმეტეს შემთხვევაში თათარ-თურქთა ხალხს, არიელთა მოდგმის ხალხთა სიტყვებით სარგებლობა? ამას თუ იმასაც მიუმატებთ, რომ როგორც ამბობს ვივიანე სენ-მარტენი, „რამ-

დენადაც ვიცითო სანსკრიტული ლიტერატურაში სიტყვა, „კავკაზი“ არ მოიპოვებო და ბიურნუფის შენიშვნასაც, რომ თანახმად სანსკრიტული ენის კანონებისა სიტყვა „გრავეკაზის“ დალაგება პირუკუთი უნდა იყოსო, ე. ი. კაზა-გრავეანის სახით, ჩვენ ვიტყვით, არც „გრავეკაზი“ სწყვეტს საბოლოოდ საკითხს, მაგრამ აქ ერთი რამ არის ხაზგასასმელი „გრავეკაზის“ პლინიის მიერ მოყვანილი მნიშვნელობა—რასაც თანამედროვე მკვლევარნი სრულიად მხედველობაში არ იღებდენ და ანგარიშს არ უწევდენ: **თეთრ-თოვლოვანი**-თვით ცნება „*белоснежный*“. ამ ცნებას თუ მივაქცევთ ყურადღებას და მას მთიურ ხალხთა ენიდან მოუძებნით თანაბრად დალაგებულ სიტყვებს, ჩვენ ვიპოვნით დალესტნის ერთ-ერთ ხალხთა ენაში, სახელდობ—ავართა, სრულიად მარტივად გადამწყვეტ მასალას: კახჰ=თეთრი, ჰაზო=თოვლი, აქეთგან თეთრ-თოვლოვანი კახ-ჰაზო¹²⁾, საიდანაც ბერძნული *Καζααααα*-ს-კავკაზოს სრულიად ბუნებრივია. აფხაზური ასსუ—თოვლი და შკვაკვა=თეთრიც კარგად უდგება კავკასიის სახელწოდების უკვე მოყვანილ შინაარსს, მაგრამ აფხაზურად ამ სიტყვათა ბუნებრივი დალაგება: ასსუ შკვაკვაა და არა შკვაკვ-ასსუ*).

არსებობს კიდევ ამ სახელწოდების წარმოშობის მეორე შესაძლებლობა: აფხაზებთან იქვე მეზობლად სვანურ ენაში დღემდე ცოცხლად დაცულია სიტყვა „კავკას“-ბრწყინვალის, მოწმენდილის მნიშვნელობით¹³⁾, ქართულსა ხალხურ თქმაში-კი, სახელდობ იმერეთში, ხმარებაშია

*) აქ მოყვანილი მასალა ადასტურებს მეცნირებაში უკვე გამოთქმულ აზრს, რომ ავართა და აფხაზთა შორის დასაშვებია ნათესაური კავშირიო.

სიტყვა „კას-კასი“, შემდეგ სიტყვის საქცევში: „ცა მოკას-კასებულიაო, იტყვიან ხოლმე“⁽¹⁴⁾). სიტყვის მნიშვნელობა იგივეა, რაც სვანურში სიტყვა „კავკასისა“ ასო „ვ-ინის—ს“-ანზე შეცვლით: კავ-კასი=კას-კასი; სვანისთვის ეს სიტყვა არა რთულია, მარტივია და ადვილად დასაშვებია, რომ ამ სიტყვის ბგერითი შემადგენლობა დამუშავდა აფხაზურ „შკვა-კვ-ასსუ“-ს და ქართულ „კას-კასის“ ზეგავლენით, აქედან-კი, ესე იგი სვანურიდან „კავკასი“ უცვლელად და უშუალოდ გადავიდა ბერძნურ სიტყვიერებაში და დამყარდა საყოველთაოდ. ეს შესაძლებლობა მით უფრო მისაღებია, რომ სვანები ისტორიულ ხანაში სცხოვრობდნენ შავი ზღვის პირად და მხოლოდ შემდეგ მოექცნენ იმ არემარეში, რომელიც ეხლა უჭირავთ. დღესაც, როდესაც სვანი კარგ ამინდში სტკბება თოვლით მოცულ მთაგრეხილის დიადი სურათით ის ამბობსო: „ეზერ კავკას მადელი ა!“ ე. ი. ხომ მშვენივრად ბრწყინავსო!*) მაგრამო, უბნობს მეორე განათლებული სვანი, სვანებმა არ იციან ზოგადი სახელი მთაგრეხილისა და აღნიშნავენ მხოლოდ ამ მთაგრეხილის ცალ-ცალკე მწვერვალებს: „თოთან“=თეთრი, „თვეთნულდ“=მოთეთრო, „უშბა“ და სხვა**).

მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ცხადია, რომ ზღვის ნაპირად მცხოვრები სვანი მეზღვაურის ძველი ბერძნის, შეიძლება მითითებითაც, მისთვის გაუგებარ სიტყვითი შეკითხვაზე, თუ რა ჰქვია ამ მთაგრეხილსო, გასცემდა

*) სიტყვითი სიტყვითად: ეზერ=კარგად, კავკას ბრწყინვალე, მადე=არ, ლი=არის, ა=თუ! თ. დადიშქელიანი № 1962. მუზეუმის ხელთნაწერისა.

***) ი. ნიჟარაძე, პირველი ტეხნიკუმის მასწავლებელი—ფილოლოგი.

პასუხს: „კავკას“—ბრწყინავს-ბრწყინვალეა და რასაკვირველია ეს არა პირდაპირი პასუხი სრულიად დააკმაყოფილებდა შემკითხველის ცნობის მოყვარეობას...

ასე ამნაირად ადგილობრივ მობინადრე ხალხთა ენების ფარგალში სწყდება აზიისა და კავკასიის წარმოშობის საკითხი, რაც ჩვენ ერთხელ კიდევ გვაძლევს ნებას ვსთქვათ, რომ ძველი აღმოსავლეთის ფარგალში არა არიელთა და სემიტთა ეკუთვნის პირველი კულტურული ჭირისუფლობის ადგილი და სათანადო მზრუნველობა, არამედ ჩვენ, ქართველებს, და ჩვენს მონათესავე ერებს...

წყაროები.

1. Фр. Любкер. Caucasus стр. 216.
2. Псевдо-Плутарх Ган стр. 154, ч. I.
3. Плиний Старший (29—79 г. по Р. X.)—Ган стр. 110 ч. I. სიტყვა თეთრ-თოვლოვანი ჩვენ ვიხმარებთ „თოვლივით-თეთრის“ მნიშვნელობით.
4. К. Юлий. Ган стр. 179.
5. Газета „Кавказ“ №№ 22 и 23, 1848 г.
6. X выпуск сборника сведений о кавказских горцах, Тифлис, 1881 г. Древнейшие сказания о Кавказе. П. К. Услар.
7. Дионисий Периегет—90 г. по Р. X. Orbis descriptio. Ган стр. 133, ч. I.
8. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа т. 40 стр. 5 и 21 статья К. Ф. Гана.
9. დ. ზ. ბაქრაძე—„საქართველო“ I რვეული.
10. А. Н. Грен. „Краткий очерк истории Кавказскаго перешейка“ стр. 3.

11. А. С. Хаханов „Древнейшие пределы разсе-
ления грузин по Малой Азии“ стр. 66. „Дневник XIII
съезда русских естествоиспытателей и врачей стр.
464. в Тифлисе.

12. „Аварский язык“. П. К. Услар.


13. საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელთ-
ნაწერი-თ. დადიშქელიანი № 1962.

სიტყვის-კონა ი. ჭყონია.

14. შეადარე: ქართული კას-კასი=კაშ-კაში და სან-
სკრიტული Kaśate—ჩანს, ბრწყინავს იხ. პროფ. გ. ახვლე-
დიანის რეცენზია ამ გამოკვლევის შესახებ.

ი. ჯიშკარიანი.

ავლაბარი, 14 ნოემბერი 1921 წ.



საქართველოს სსრ-ის რუკა

საბჭოთა
აღმოსავლეთი

საქართველოს
სსრ-ის რუკა

მთიანეთი
(ქვემო)

საქართველოს
სსრ-ის რუკა

საქართველოს
სსრ-ის რუკა

საქართველოს
სსრ-ის რუკა

91

5 562

თავლიტი 1747, № 1656, ტირაჟი—2.000.